ხელშეკრულება

ქ. რუსთავი 18 იანვარი 2021 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია შემდეგ მხარეებს შორის: შპს ”მაგთიკომი” წარმოდგენილი ქ.რუსთავის ოფისის მენეჯერის ლევანი ფოფხაძის სახით, რომელიც მოქმედებს შპს „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორის მოადგილის 06.02.2019 N19/02/06-002 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შემდგომში - მიმწოდებელი, ერთის მხრივ და შპს ქ.რუსთავის კანისა და ვენსნეულებათა დისპანსერი წარმოდგენილი დირექტორის გოჩა ტაბატაძის სახით, შემდგომში – შემსყიდველი, მეორეს მხრივ თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ 360 (სამასსამოცი) ლარის გადახდის ბარათ(ებ)ის შესყიდვა, რომელიც არის მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული მომსახურებ(ებ)ის საფასურის გადახდების განხორციელების საშუალება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ნომინალის, სერიული ნომრის და საიდუმლო კოდის შესახებ - (შემდგოში მონო ბარათი);

1.2 მონო ბარათების შესყიდვა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, მიმწოდებლის ანგარიშზე ჩარიცხული თანხების პროპორციულად.

2 მხარეთა ვალდებულებები

2.1 შემსყიდველი ვალდებულია თანხის გადარიხვისას მიაწოდოს მიმწოდებელს ინფორმაცია მონო ბარათების რაოდენობისა და მათი ნომინალური ღირებულების შესახებ.

2.2 მიმწოდებელი ვალდებულია თანხის ჩარიცხვის და შემსყიდველისაგან 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღების შემდგომ, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გადასცეს შემსყიდველს შეძენილი მონო ბარათები.

2.3 მონო ბარათების გადაცემის ადგილია მიმწოდებლის ოფისები, რომელთა მისამართები მითითებულია მიმწოდებლის ვებ-გვერდზე www.magticom.ge. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის ოფისს არ წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივ ცენტრებში ან სხვა ობიექტებში განთავსებული მიმწოდებლის გაყიდვის წერტილები.

3 ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება წარმოებს წინასწარი გადახდის პირობით, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორების ფორმით. უნაღდო ანგარიშსწორება წარმოებს ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

4 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების პირველ გვერდზე მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5 ფორს-მაჟორი

5.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც

შეუძლებელს ხდიან ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

5.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების დადგომის შესახებ.

6 სადავო საკითხების გადაწყვეტა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გაწყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7 დასკვნითი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი აცნობიერებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება მხოლოდ საკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვის/ანგარიშსწორების საკითხი. მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდების სამართლებრივი საკითხები რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული შესაბამისი საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3 შემსყიდველი აცნობიერებს, რომ მონო ბარათის საშუალებით შესაძლებელია მონო ბარათის ნომინალის შესაბამისი თანხის გააქტიურება მიმწოდებლის მხრიდან შეთავაზებული მომსახურებ(ებ)ის სააბონენტო ანგარიშზე, მონო ბარათზე მითითებული წესების დაცვითა და კონკრეტული მომსახურების პირობებით გათვალისწინებული წესებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით.

7.4 ხელშეკრულება შედგენილია ორ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს.

8 მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს „მაგთიკომი“	შპს ქ.რუსთავის კანისა და ვენსნეულებათა დისპანსერი
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #7	ქ. რუსთავი VII მ/რ
ს.ს. ”ვითიბი ბანკი”	ს.ს. ”ვითიბი ბანკი”
ანგ. GE73VT6600000000423607	ანგ. GE77VT0700000000913408
კოდი: UGEBGE22	კოდი: UGEBGE22
საიდ. კოდი: 204876606	საიდ. კოდი: 216297095
---	---
Levani Popkhadze Digitally signed by Levani Popkhadze Date: 2021.01.18 12:07:12 +04'00'	LTD Rustavi Skin and Venereal Diseases Dispensary Digitally signed by LTD Rustavi Skin and Venereal Diseases Dispensary Date: 2021.01.18 11:43:03 +04'00'